

კარი ერთოსელი

კოლეგი
ფსალმუნი

100-ტომეული




გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუსა ექისტელი



კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 78

2020



მთ. რედაქტორი

ობარ ჩიტალაძე

მხატვარი, პროფესორი,
საქართველოს მწერალთა,
მეცნიერთა და საზოგადო
მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა-
საქართველო“-ს აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოს სასახლის №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-885-4 (78 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაშა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიდის არენიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმერანის გედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის ოქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრუბის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემულობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-
ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-
მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-
სხად აირჩია აგავე კადემიის 30ცე-კარეზიდენტი, ცხობილი
კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის
დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი,
იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი
ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი
ვაქიტვილი ზურაბი და დაჩი (ორივე იურისტი) და სამი მკი-
ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცნე შვილი
(შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამგანაც, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხამაბაღლა ვაცხადებ: ვა-შა მგრისელი არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმისის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ყელასგან იაზონება მედვეასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნევანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის გარენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„ბულტივად შეხვდი ყოველ ძმას, ყოველ მაბებას.“

ა. პუშკინი

წინასიტყვაობის მაბიერ

(გაგრძელება)

პოეტის სიყვარული თავისი ქვეყნის, ენის,
წარსულისა, აწმყოსა და მომავლის თითქმის
ყველა ლექსიდან გადმოდის.

„რისხვა და ნგრევა საუკუნეთა –
მღვრიე ტალღებად
ისევ ჩაუვლის...
მაინც დარჩება, ვით ზღაპარი
და სახწაული,
წიგნი ვეფხისა,
ნიკორწმინდა,
ჯვარი,
არმაზი –
ჩემი ქართულის სიღრმე, სიმაღლე
და სილამაზე.“

„ამ ოქროს ხანის, მეთორმეტის“ გახსენება
სიამაყით აღავსებს ვაჟა ეგრისელს, დავითი ქარ-



თული და სომხური მიწებიდან თანმიმდევრობით ერეპებოდა თურქსელჯუკებს. ამიტომ იყო, რომ ახლო აღმოსავლეთის მაკმადიანმა მმართველშმა საქართველოს წინააღმდეგ დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს დიდგორის ველზე. თბილისის მახლობლად მომხდარ ბრძოლაში, დავით აღმაშენებლის ჯარებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ქვეყანა მოსალოდნელი განადგურებისგან ისესნეს. ეს იყო 1121 წლის აგვისტოში. ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ წინა აზიაში აღარ არსებოდა ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველოს წინსვლის შეჩერება.

იმ დროიდან უფრო ფართო მაშტაბით იწყება თბილისისა და მთელი სქართველოს აღორძინების პერიოდი, რომელსაც „ოქროს ხანას“, „რუსთაველის საქართველოს“, და „რუსთაველის ეპოქას“ უწოდებენ: ეს იმიტომ, რომ რუსთაველმა მთელი ბრწყინვალებით წარმოაჩინა ეროვნული კულტურის სიდიადე და მას საპატიო ადგილი დაუმჯკიდრა მსოფლიოში.

„მრავალი ერი, მრავალი ტომი შეეწირა არსებობისათვის უთანასწორო ბრძოლას. მართალია, ჩვენს ხალხს აბჯარი შემოაცვდა პერმანენ-



ტულ ომებში, მაგრამ მისი შეუდრევებელი სული
თავგამეტებით იბრძოდა და იბრძვის დღესაც“.
ამის ნათელი დადასტურებაა დიდგორის ომი.
პოეტი დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ელა-
ციცება დიდი მეფის აჩრდილს. თავადაც აბჯარი
ჩაუცვამს და მეფესთან ერთად ჩაბმულა ამ თავ-
განწირულ ბრძოლაში:

„თვალებში ქართლის წარსულს
ჩავცერი:

მესმის ყიუინა,

გმინვა, გნიასი.

ვით საზღაურის მტრისთვის მიგება.
სიკვდილ-სიცოცხლის ჰარმონიაში

ხმალი საბრძოლოდ

ელგასავით მიიღრიკება....

დიდგორის მკერდზე სისხლთა
მოხეველი,

ქართველები კვლავ დგანან პირველნი
და საქართველო –

მათი წმინდა საკურთხეველი

სავსეა თავით, – შესაწირველით,

დაღლილი მთები დგანან უძრავად,
დამით ტანჯული მოლოდინი



წამებს დაითვლის,
და... აჰა! ბნელში, ქართვლის
მტერთა შესამუსრავად,
მოდის სიკვდილი! – მეფე დავითი.“

რა დიდებული სურათია მეფე დავითისა,
რომელსაც ხალხმა აღმაშენებელი უწოდა.

„და... აჰა! ბნელში ქართვლის
მტერთა შესამუსრავად,
მოდის ისკვდილი! – მეფე დავითი.“

„მესიის მახვილი“ – ეგრისელმა ჩვენს
თვალწინ გააცოცხლა ლეგენდარული გმირის,
დაუმარცხებელი გოლიათი მეფის ზღაპრული
სახე. მხატვრული თვალსაზრისით ვაჟა ეგრისე-
ლის პოეზია სრულქმნილია, დეტალები სამაგა-
ლითოდ შერჩეული. იგი დიდი მოაზროვნე პოე-
ტია, რომელიც სიგიურებული შეყვარებული მშობ-
ლიურ მიწას. მისი შემოქმედება ჩვენი კულტუ-
რის განუყორელი ინგრედიენტია და ამაში უპირ-
ვალეს ყოველისა დიდი დვაწლი მიუძღვის მის
თავდადებით, რედუნებითა და კრძალვით აღსავ-
სე შრომას. მისი შემოქმედების თემატიკა მოუ-
ლოდნელი და მრავლისმეტყველია. რომელსაც



ახასიათებს მხატვრული მეთოდიკის თავისებურება. ისიც ნიშანდობრივია, რომ მძლავრმა ბიძგმა, რომელიც მის გენიალურ ნიჭშია, ერთბაშად გააპო დრო და სივრცე საიდანაც გადმოცვივდნენ – მითები და ლეგენდები, რომლებიც ტყეში გზააბნეული ბავშვებივით უხმობენ ერთმანეთს. ძველთაძველი მარადიული თემა ახლუბურად იხსნება ჩვენს თვალწინ.

„...ბატონი ვაჟა ეგრისელის დიდმა წინაპარმა, დასავლეთ საქართველოს მმართველმა ქუჯი ეგრისელმა თავის მომმეს და თანამემამულეს ფარნავაზს უთხრა: „თუ ღვთის შეწევნით გავიმარჯვებთ, შენ იქნები უფალი ჩვენი, ხოლო მე ქვეშევრდომი შენი.“ მე მსურს მოვახსენო აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამედროვე პოეზიის ქართველ პოეტებს: დროა, გადასცენ ვაჟა ეგრისელს ქართული პოეზიის „უფლობის“ ტიტული, ხოლო თვითონ იყვნენ „ქვეშევრდომნი“ მისი.

პოეტის ფიქრმიუწვდომელ შემოქმედებას უამრავი წიგნი მიეძღვნა. ბევრი ავტორი მას საყოველთაოდ ცნობილი ეპითეტებით ამკობს. თუმცა რას მიქვიან „თვალსაჩინო“, „ბრწყინვალე“, „კარგი“, „დიდი“, „არაჩვეულებრივი“, „გან-

საკუთრებული“, „საკვირველი“... არა ბატონებო!
ვაჟა ეგრისელი გენიალური პოეტია...“

/ბექა ქანთარია,
აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა
აკადემიასთან „არსებული ახალგაზრდული
აკადემიის პრეზიდენტი“, იურისტი/
„ეს მერამდენედ,
დავიწყების კართან დაცემულ
მახვილაპყრობილ ციხისმცველთა
და მესანგრეთა
გადაიქროლა სევდის ღრუბელმა
და მე მუხლს ვიყრი
უველა ქართულ
ციხის ნანგრევთან,
ლოდს გულში ვიკრავ და...
სულს ვუბერავ...“

ასე იყო მუდამ: ხან მტრის ფარზე ჯახე-
ბით, ხან მტრის ხმალზე სისხლისღვრით, ხან
ქვაზე გაცხადებული ჩუქურთმით, ხან ფუნჯით,
ხან ეტრატზე დაღვრილი შთაგონებით ჭედდა
ქართველი კაცი ქართულ ასოებს. და იქმნებოდა
„ხიტყვა ქართული, სული ქართული, ჩართული


დედის იავნანაში.“ ყველას და ყველაფერს დათ-
მობდა ქართველი, მას კი ვერა.

„ქართული სიტყვის ტყეში
ფიჩხი მიგროვებია
და „დიდთა“ გვერდით
დამინთია მცირე კოცონით.
ბევრჯერ დავმჯდარვარ შთაგონების
ცეცხლთან და ბოლთან.
და... აი, ახლა,
ამაყი და კვლავ თავმომწონე,
სიკვდილის ლამაზ კართან ვცემ
ბოლთას

„...ვაჟა ეგრისელის წმინდათაწმინდა პოეზია
– ხატებთან დანთებული სანთლების ლოცვაა...“
(ნანა ჭიარქაძე, აკადემიკოსი.)

გრძელი და ძნელი გზა განვლო ქართველმა
ხალხმა, გიდრე დღემდე მოაღწევდა, ბრძოლაში
და ხმალთა კვეთებაში იწროობოდა ქართული
სული. „ვით ამირანი... ცას ვუფატრავდით ვეება
მუცელს.“

„როგოროც იმედის და სინათლის
თეთრი პეპელა,



ჩვენ ქართველები! –
შუქიო გჩნდებით
სწრაფად და უცებ,
მიწისკენ ვიღებვით და გავეშვებით,
ვით ამირანი... ცას ვუფატრავთ
ვეება მუცელს,
ფიქრის და ელვის
თეთრი ეშვებით.“

„მაცხოვარი ჩვენი ჯვარზე ევნო ჩვენთვის და
შვილთა ჩვენთათვის. კარნი ჯოჯოხეთისანი გან-
ვლო საკუთარი ფეხითა და ცად ამაღლდა და სუ-
ლი მისი მოგვეფინა იმ ვარდების, გვირილისა და
ზამბახების სახით, რადგან ქრისტეა თავად მზე,
უქრობელი, ნათელი, უმრუჟო, იგი თავად მარად-
მჟამობის იდუმალი ეპიტაპია. ქრისტე მაცხოვარი
ჩვენი, იგია ჭეშმარიტი თავადი სიკვიდლისა და
ჯოჯოხეთისა. იგია, თავად საიდუმლო უიდუმა-
ლესი და ნურავინ ეძიებს მის გარეშე იდუმალუ-
ბას!“. – გვაუწყებს კონსტანტინე გამსახურდია.

გაუა ეგრისელი კი ასე გვიხატავს ჯვარ-
ცმულ იქსოს:

„შეხედეთ ჯვარზე გაკრულ ისეოს,
აი, ესაა კაცის ცხოვრება,



ისე,
შორიდან რიალებენ სულ
სხვა ფერები,
რომლებიც ვეღარ შეაკავა
ღამის ჯებირმა.
გიცი,
სიკვდილი უსაშველოდ
მომეფერება,
რადგან სიცოცხლემ,
ერთხელაც არ გამანებივრა.“

ვაჟა ეგრისელი მტკიცე ბუნებით და სიცო-
ცხლისადმი სიყვარულით არის ქართველი კა-
ცის ნიშან-თვისებათა ეტალონი.

„შენ გენაცვალე
დიდო სიცოცხლევ,
გულში რომ გიპრავ
დვიძლ დედასავით,
ოუმცა გზა და გზა მწუხარების
გვჩხვლებავს ეკალი
და დღე და დამით სადღაც დასავლით,
მოგვარბენინებს აქ – არყოფნის ქარი
ხელმკლავით.“



ილია ჭავჭავაძე თავის წერილში –პოეზიაზე, კარგ ლექსებს პატიოსან თვლებს, მარგალიტებს შეადარებდა ხოლმე. პოეტი ღრმად უნდა ჩასწვდეს ცხოვრებას, „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირში“. „იქ იპოვის ბევრ ლექსაა და ლაფსა“, ადნიშნავს ილია თავის წერილში. აკაკიმ ვაჟა-ფშაველას უწოდა „მარგალიტების მთესველი“. „თუმცა გვითესავ მარგალიტს, მკითხველიც იმას მკისაო.“

ანტიკურ ეპოქაში და შუა საუკუნეებში სწამდათ, რომ პატიოსან თვლებს თილისმის ძალა აქვთ, ვაჟა-ფშაველას მსგავსად ეგრისელი მარგალიტების მთესველია, მძივებითაა ასხმული მის სტრიქონებში ეს პატიოსანი თვლები. „...მხოლოდ ვაჟა ეგრისელს შეეძლო დაწერა უთვალავი (50 000) ლექსი, (ყველა ერთმანეთზე უკეთესი – პროფ. ტ. მოსია). აქედან უმრავლესობა ბუნებაზე, რადგან, ბუნება მისი შთაგონების უშრეტი წყაროა.

ვაჟა-ფშაველას შემდეგ, საქართველოს რომ არ მოვლენოდა ვაჟა ეგრისელი, ასე მეგონა ქართულ პოეზიას არ ექნებოდა ის სიდიადე...“ (ტატა დიოსკურელი, მწერალი, აკადემიკოსი.) პოეტს მთის დანახვისას თვალწინ უდგანან მისი



წინამორბედი მარგალიტების მთესველნი:

„მთას რომ შევხედავ,
დამიდგება ვაჟა-ფშაველა,
ცას თვალცრემლიანს –
რუსთაველი და გურამიშვი-
ლი.
თოფის ქუხილზე –
გაიელვებს შუბლი ილიას
და „სამძღვარს“ იქით ტატოს „მერნის“
ჭიხვინი მესმის...
ხსოვნის დარბაზი ჩემი ისე
გაჭედილია,
ვერ ჩავარდება დავიწყების
პატარა ნემსიც.“

პოეზია ნაკადულებად, ჩანჩქერებად და მდო-
ნარებად მოედინება ქართულ მიწაზე:
„დის პოეზია ნაკადულებად,
ჩანჩქერებად და
მდინარეებად,
ზოგან კი,
ზოგან ულამაზეს
ტბასაც კი მოჰვავს



ქართულ მიწაზე,
/სადაც მოქმე ვეფხვს
რომ შეგბა/
პოეზიის დიდი ზღვა ბორგავს.“

„... ვაჟა ეგრისელის პოეზია – ეტნის ვულ-
კანია, რომელიც უძველეს კოლხურ მიწაზეა
ამოფრქვეული..“

/სიმონს ზაქარაია, აკადემიკოსი/.

არა მარტო ქართულ, არამედ, შეიძლება
ითქვას, მთელს მსოფლიო პოეზიაში ისე არავის
პყვარებია ბუნება, როგორც ვაჟა-ფშაველას და
ვაჟა ეგრისელს. პოეტი ასე ხედავს ვაჟა-ფშავე-
ლასთან მსგავსებას:

„ვით ელვა მეხთა მტყორცნელი,
ვინ იცის,

სად იალებდა.

ქართული ცით და ველებით
ვაჟა მთებს დასტრიალებდა,

მე კი ზღვებს ვეღარ ველევი.“

ვკითხულობთ ამ სტრიქონებს და ვგრძნობთ,
რომ ჩვენ საქართველოში ვართ –ქართულია ეს



მოები, ადამიანებივით რომ ხუჭავენ თვალებს, ეს
ზღვები და ლოდის ნატეხიც, რომელიც მუთაქის
მაგივრად უდგეს თავქვეშ პოეტს.

„ლოდის ნატეხი მედება

თავქვეშ,

მაგივრად მუთაქის,

ჯვარიც მედგმევა ირიბი.

და მე

სიკვდილით უკვდავქმნილს,

ზღვები თუ დამიტირებენ..“

მართლაც ზღვის ღმერთმა ვაჟა ეგრისელი,
ზღვის მირონში განბანილი მთელი მისი გენია-
ლური პოეზია. თავად პოეტიც ზღვასავით დე-
ლავს, ბორგავს და იწვის შეუცნობელის ტკივი-
ლითა და სიხარულით. მისი ფიქრთა სამყარო
იძირება საქართველოს წარსულში და უმდერის
აჩრდილად ქცეულ გმირებს. ტკივილამდე აწუ-
სებს აწმყო და მომავალო. მას არაფერი არ აში-
ნებს, და ვერც შეაშინებს, რადგანაც:

„მტერი ვერასდროს ვერ შემაშინებს,

აიეტის და გუბაზის ნაგრამს,

დაგჭირდე,



მიხმე, თავს განაცვალებ,
სამშობლოვ ჩემო!“

ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ქვასთან, ყოველ
უბანზე თავისი ქვეყნის წარსულს ხედავს:

„მესმის ყივილი ციხისმცველების,
ყღრიალი შუბის,

მტვრევის ხმა – ტარის,
ყოველ ნაბიჯზე,
ყოველ ქვასთან,
ყოველ უბანზე,

ასე მგონია: გაიღება წარსული კარი
და გამოჩნდება ხმალაწვდილი –
მეფე გუბაზი!“

ვაჟა ეგრისელს ისევე სტკივა და აწუხებს
კრწანისი, მარაბდა, როგორც აიეტს კოლხეთი.
ესირცხვილება დალატით წაგებული კრწანისის
ომი. მთასავით მოქუფრულა მეფე, ცხენზე დაბერ-
და გვირგვინოსანი, გატეხა თავად-აზნაურთა ქიშ-
პობამ, შავი ღრუბლები გროვდება საქართველოს
ცაზე, აღა-მაჭად-ხანი აურაცხელი ჯარისთ თბი-
ლისს მოადგა. მეფემ ხუთი ათასი (5 000) მეომარი
შეაგება მტერს. სასწორი გამარჯვებისა ქართვე-



ლებისაკენ გადმოიხარა, მაგრამ დალატი დადიო-
და თავაწეული, ოცდათ ვერცხლად გვყიდდა იუ-
და. დასაჭურისებულ სარდალს მიეცა გზები გა-
მარჯვებისა სომხის წყალობით.

„მტკვარი უჭირავს ორლესულივით,
მკერდზე აყრია
არაგველთა
ჯაჭვ-მუზარადი
და სიჩუმეში განისვენებს
კრწანისის ველი, –
სამასი წლის წინ
რომ გამოჭრა
დალატმა ყელი,
სწორედ ის სისხლი
ყაყაჩებს
ისევ დვარად სდის...“

ვაჟა ეგრისელის სულის შმძვრელი პოეზია
ამარცხებს საქართველოს წინააღმდეგ ამხედრე-
ბულ ძალებს. ვაჟა ეგრისელის აზროვნების მე-
თოდი, ცხოვრების წესი ქართულია, მისი ოვალ-
საწიერი უსაზღვროა და სცილდება დედამიწის
ფარგლებს. ის უკვდავია ისევე, როგორც დიდი
ვაჟა-ფშაველა.



„ეს მე ვარ ზღვაო, შენი ხატება,
ძლევამოსილი, შენი სწორფერი,
ყველა ქარიშხალს, ყველა
გრიგალს აღემატება
პოეტის სული სიმყუდროვის
უარმყოფელი.

ეს მე ვარ, ზღვაო, შენი მოდელი,

ცა მაფენს კდემით
ნისლის ბადეებს,

მერე დღეები ბავშვებივით
უპან მომდევენ

და საუკუნის მძიმე ხელებს
მხრებზე მადებენ.

შენში დავმარხე ყველა ხატი
და სალოცავი,

როდესაც წიგნში ტალღამ
თვალი კვლავ გაახილა.

მიწაზე ვდგავარ, ზღვაო შენი
ძეგლი ცოცხალი
და მომავალი გრიგალების
მესმის ძახილი.“

„ვაჟა ეგრისელის სამყარო უკიდეგანოა, –
დაწყებული შავი ზღვის ნაპირებიდან – წყნარ



ოკეანებმდე. ცელებესისა და იავას კუნძულებიდან – კილიმანჯაროსა და ჰიმალაის მთებამდე. სპარსეთისა და არაბეთის უდაბნოებიდან – ტროას ნანგრევებამდე; ეგრისის, შორაპნის და ციხეგოჯის სიმაგრეებიდან – ეგვიპტის პირამიდებამდე და ბაბილონის გოდოლამდე. აბასთუმნის ობსერვატორიიდან – ირმის ნახტომამდე და ოტარიდამდე, ვაჟა-ფშაველაან – ჰომეროსამდე, რუსთაველიდან – გალაკტიონ ტაბიძემდე და ლადო ასათიანამდე. შორეული მითოსიდან – ბიბლიამდე და შემდეგ ატომისა და წყალბადის ბომბებით, ათასი კატაკლიზმებით გაგულისებულ მეოცე საუკუნის შზის მიწურულამდე და მესამე ათასწლეულის თვალუწვდენელ გადასახედამდე...“

/ვაჟა შარვაშიძე, აკადემიკოსი/.

ნათელა გოხელაშვილი
ნაწყვეტი წიგნიდან – კოლხი პოსეიდონი
კოლხეურ პეგასზე ამხედრებული პოეტი

გაგრძელება შემდეგ ტომში



სამაია

მიმწუხარისას ლოცვით დაღლილ
მრევლთან ისევ უნდა მისვლა,
სამაია, მრავალფერობს.
და ჩამოდის ციდან ნისლი, –
„სამებას“ რომ
მოეფეროს.

1997

სათოფზრდები

მზით და იმედით გადახურული,
მთად ცათამბჯენი
რომ აგიშენე.

შენ,
იმ კოშკიდან მათბობ ყურებით
და სიყვარულის ტყვიებს მიშენენ –
შენი თვალების –
სათოფურები.

2003



* * *

ცბიერი და ბოლმიანი,
ზღვას ქარიშხლის გული
უცემს,
წყლისპირ ბორგვა არის ხელთა.
კლდეს მიასკდა ზღვა,
და უცემბ,
შუბლი ორად გაიხეთქა.

1987



0სეზ ქაროვი

მდინარე სტიქსეს მიარღვევს
პატარა ნავი ქარონის,
მკვდართ სულები გადაჰყავს,
გაუპარასავს და უდონოს.
მე,
კი ვიცი რომ ფარულად,
თავს დამტრიალებს
თულუნი*.

2004

* თულუნი – შევარდენი. (თეთრი თულუნი – ქრისტეს
სიბოლოა).



პელიოდის და სელენეს

ცაში ასე იცნობენ,
გიო გაღმელს და
გამოღმელს –
(მოლენი და მელენი),
ორ ლამაზ შეყვარებულს –
ჰელიოსს¹ და
სელენეს².

1997

¹ ჰელიოსი – მზე

² სელენე – მთვარე



* * *

მეფე დავითს! –

ქრისტეს მხედარს,

მზის გვირგვინი ამშვენებდა.

სურდა ყველა უპოვარი,

არყოფნის გზას აცდენოდა.

მტერს ებრძოდა....

აშენებდა –

ხანაგათას და ქსენონთა.

1977



გალატეა¹

ქვესკნელიდან ვიღაც კივის:
სიყვარულის ზღვა ამკიდეს,
მაგრამ ქალი – ღალატია.
თავგამსკდარი ვარ აკიდი²
და ხელს ვუწვდი
გალატეას.

1993

¹ გალატეა (ბერძ.) – ერთ-ერთი ნერგითაგანი, (ზღვის ფერია).

² აკიდი – გალატეას შეყვარებული.



* * *

ხერთვისთან და არტანუჯთან,
აბა,

როგორ არ გელოცა.
შენ სულს ქართლის ცა მოელის.
ისმენ წირვას ანგელოზთა,
გით პეტრე და
სამოელი.

1959



* * *

ჩაუმქრალი შენი ყოფნა,
მზის კოცონზე ჩუმად იწყვის...
იწვის,
მაგრამ არ დაიწვა,
სულს შელახულს ხორცის ბიწით,
სურს დატოვოს
დედამიწა.

2005



* * *

ქანცგაცლილი ბედთან ბრძოლით,
ძილ-ბურანში სშირად

ხედავ:

„მოხუცებულს, სპეტაკ ზეწრით“.

ის ცად გიხმობს

ქრისტეს მხედარს,
გვირგვინით და ვაზის ლერწით.

1991



* * *

დადგა ქამი, გათენდე!
და აროდეს დაღამდე! –
გესმის ციდან დაღადი
სანამ მიწის და ხან ზენის.
და უფლის კვართს შეცქერი,
როგორც ნიზიანზელი.

1979



პითა ნოე

მეხთა — ტეხა თავს იკლავდა,
როს ჩამოდგა
სიმყუდროვე,
ქლვა,
მტრედად მყის მოფრინდა.
გამოვიდა, ვითა ნოე,
მთვარე,
ცის სველ კიდობნიდან.

1968



* * *

სიმყუდროვის ზარის რეკვა,
სივრცეს ურუანტელად
უვლის,
ცაში მწერი დგება როცა,
დედამიწა უსმენს გულიოთ,
ვარსკვლავების წირვა-ლოცვას.

1966



პალმა

ო, განა, იოლია,
ცის მზე მხარზე რომ შეისვა,
მეც დამფერფლა მისმა აძმა.
და ნაპირზე მდგარი პალმა,
ზღვის ლამაზ კიოლინოს,
თავის ორლესულ
ხემს უსვამს.

1958



სულისმინდის მოვალეის

ეს გული შენ გეპუთვნის,
სიყვარულის მთესველი
და დიდები მყოფელი.
სანთლით ხელში,
დღეს ველი –
სულიწმინდის მოვენის*.

2001

* სულიწმინდის მოვენა – ადგომიდან 50-ე დღე.



პოლიტიკი თასი

ამაყი და თავმომწონე,
მზით და ოჯალეშით ვავსებ
და ულევთან ხუთი ათასი
წლის წინ მოჭრილ –
კოლხურ თასით,
ჩემს დიდ საქართველოს გლოცავ!

2001



თუთანქამნები

მსხვერპლს სწირავ ღმერთს ნილოსის
და ლურჯ ტაძარს ამონის¹,
ქვეყნად არვის არ მონებს –
„მენგურელი“² ხელმწიფე –
დიდი თუთანქამნი.

1978

¹ ამონი – ეგვიპტური ღვთაება.

² „მენგურელი“ – მეგრელი.



* * *

ღრუბლებმა რომ ჩამოიხრჩონ

თავი,

სიმარტოვის ცისქვეშ,

ზეცა ელვის თოჯს არიგებს.

ზღვა ბობოქრობს და მრისხანებს...

გზე ჩადის და

ქარიშხალი

ტალღებს დაათოხარიკებს.

1976



ქორთუ გაზა

ქორთუების სამოსახლო,
ამ შორეულ თვალთხედვიდან
ჩანს აჩრდილად
და მირაჟად,
მაგრამ მაინც ნათლად ვხედავ –
კოლს ხელმწიფე –
ქორთუ – ვაჟას.*

1989

* ქორთუ ვაჟა – მითანის (ჩრდილოეთ საქართველოს მთიანეთის) მეფე რატის შვილი. ფარაონ თათუ – ნეფერტიტის ძმა.



* * *

ანგელოზის გზას არა,
მარად ცად ყოფნის მანიებს,
ვერცა ვედრებით,
ვერც ლოცვით,
ვერასდროს მოინანიებს
ვნებას,
რასაც პყოფს სულს, ხორცი.

1999



* * *

ქარის ხმაზე,

შავ ბელს-ღრუბლის,

მთის ბილიკზე მავალს მყარად,

კვლავ ეცვალა უცებ მხარი.

მერე ღამემ,

ცის ბილიკზე დაბმულ

მთვარეს,

გარსკვლავები საპენეიტ დაუყარა.

1961



ესპ!

ოდის წინ პატარა მინდორზე
ირევიან ყვითელგულა

წიწილები,

შუაში დგას სმენადქცეული
კრუხი,

გუმანით ქორის ლანდს ხედავს.
ესპ!

ესპ!

ესპ!*

წარმართივით ქორს აფრთხობს დედა.

1958

* ესპ – შინაური ფრინველი მფარველი დათაება ძველ
კოლხურ პანთეონში.



სიცოცხლე, ცხოვრება, სიპვდილი

ჩვენს ჩურჩულს ამ ცოდვილ მიწაზე,
ცა – რუპორია და
ახმოვანებს...
სოცოცხლე,
ცხოვრება,
სიკვდილი, –
ამაოებაა სამსახოვანი
და ჩვენ სულ ტყუილად მივტირით.

1969



ဖာလ္လာဘဝ

ပမာဏရှင် ဂုဏ်ဆောင်ရွက်ပါ၊
သိမ်းမြတ် ကျင့်ချောင်း အလျင်ပေး
ပေးမြတ်၊
ရောက်ရောက် တွေ့လျှော်ပါ。
သူ အမြတ်အမြတ် ပုံစံရှင်ရွက်ပါ၊
ပေးမြတ်-ပေးမြတ်
ပုံစံရှင်ရွက်ပါ.

1969



* * *

ისტორიის „მამებმა“,
რათუნდ ჭორში მოზელონ,
უამთა ძელზე არბილონ,
მაინც გამოუჩნდება
შერყვნა და
გოდოლი,
კოლხთა ქალაქ ბაბილონს.

1966



ზვირთები

თვალებზე ცრემლშეუშრობელნი,
ცად რომ ვედრებით ადიან
და ნისლი ფარავთ სნეული,
ის ბობოქარი ზვირთები –
ტყვე ქართველების დარდია,
სპარსთაგან გამოქცეული.

1961



* * *

ჩვენს წარსულიდან ჩამოქროლილი,

ცეცხლს კვლავ მიკიდებს

დარდის არავი*

ფიქრთაკარავში როცა შეივლის.

შენ – მზით მოსილი...

და სხვა არავინ,

მიყვარხარ!

როგორც მაჯნუნს ლეილი.

1963

* არავი – სამხრეთის ქარი.



მოგარე

დასავლეთით ღრუბელ-ღრუბელ
მიდის...

დამეს მიაბოლებს
მთვარე, —
ჩემი პაპის — პაპა,
მსურს მის სიბრძნეს ვცე
თაყვანი.

და... ზღვა იწერს ცის ლურჯ ზღაპარს,
ვარსკვლავების ასოებით გამოყვანილს.

1994



* * *

თავს იწონებდნენ ნაძვის ხეები,
ზამთრის დადგმული თეთრი
სპექტაკლით:
„დღეს ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით“.
იდგა სიმშვიდე და
სისპექტაკები,
მთელი დამე ნათელს –
გალობდნენ ფიფქები.

1979



* * *

ორმოცი წელია ამ ცხოვრების
სიგერაგეს რომ
ცას შეკივი
და საშეკელს არსაიდან ელოდები.
სასაფლაოზე ყრია ლოდები –
გშიერი სიკვდილის
საკენკივით.

1970



* * *

გოლხეთში უნასი ასისინდა:

— მედეა ღვთისწინაშე

მართალია,

ბერძეშში სული ჰპოვა რაინდული.

მედეას გზა —

გაპარული ფასისიდან,

ლალატის ეკლიოთაა გარინდული.

1964



* * *

საწუთოოს ბევრი ედავა,
 დაავადებული სხვა სენიო,
 ყოფნა მჭლე და
 დუდრიგვალი.*

ზღვა –
 კოლხთა ძველი სევდაა,
 ხანდისხან თავს რომ გვახსენებს
 ქარიშხლებითა და
 გრიგალიოთ.

1971

* დუდრიგვალი (მეგრ.) – თაგმსხვილი.



* * *

შუბლშეკრულ ამირანივით,

სადღაც,

შორს მიგეჩქარებათ
ღრუბლებო! –

სპანო ყამარის,

ალბათ დიდ ომში ებმებით.

ნეტავი იმათ სამარეს,

გისაც თქვენ დაეცრემდებით.

1961



თამარ მეზე

„ბაღდადს ხარაჯა ავიდე“.

ათას ურჯულოთაგან –
სისხლდაწრეტილს,
გამულს ვედექ დარაჯად,
ვღვრიდი ცრემლებს და მირონს.
დრო-დროც,
ვიღებდი ხარაჯას,*
სპარსეთს, ბაღდადს და ბაბილონს.

1969

* ხარაჯა – ხარკი.



ოპერე ატლანტის

ქამი ათასწლეულებს –
ფარასავით მიღალავს,
კოლხეურ სულს რომ ვატანდი.
არვინ იცის თუ რამდენ,
საიდუმლოს გვიმაღავს
ოპერე –
ატლანტის.

1980



ମୁଦ୍ରଣ ବିଧାଯା

არარის საქართველოში
მიწის პატარა მტკაველიც,
რომ აღარ ეხარებინოთ
სიტყვა,
სიცოცხლის ნერგისებრ:
აღმოსავლეთით – ფშაველას,
დასავლეთით კი –
ეგრისელს.

2007



* * *

დღის ჯაფისგან გადაღლილ

დამეს,

მთვარის ცალი თვალი ათევს.

ზღვა ნიადაგ უმზერს ცაზე:

ციკლოპივით ცალთვალება

გოლიათებს

და ვარსკვლავებს – ასხელიან ბუმბერაზებს.

1996



* * *

არ ჩანს დავით!

მაგრამ მცხეთას,
ისევ აღგას მზე დიდებად.
სვეტიცხოვლის მაღალ სვეტებს,
უფრო მაღლა ეზიდება
საუკუნე –
მეთერთმეტე.

1981



ეფთუნში

კოლხეთს ახსოვს და
არც ახსოვს,
წელია ათასჯერ ერგასი,
ტანზე რომ აცვიათ მთებს ბურუსი.
ქარით დაჭედილ ზვირთოა პეგასებს
მძინვარ ზღვებში რომ დააგელვებდა –
ნეფტუნუსი.*

1971

* ნეფტუნუსი (ლათ.) ზღვის ღმერთი.



* * *

ნათელს იღიმოდა სივრცე
და მთებმა კი ფართო მხრები,
მეხის ხმაზე ზე აწურეს.
ზღვა დასტირის ცით ჩამოსულ
დილის ცვარის
სიქალწულეს.

1971



* * *

წამით ადარ ისვენებს
ფიქრი და
ატლანტიკის
ცსკერზე ლამის ჩავიდეს,
რადგანაც იქ დაეძებს
იბერების ნაშიერთ –
პარპალებს და
დრავიდებს.

1976



* * *

ჩემს კოლხეთს ეალერსება

ფრთებმოქათქათე ნიავი, —

ეპიც მთის,

ურთის დ ფოთის.

ცა გულში იკრავს სიამით

ხღვას —

თოლიებით გაფოთლილს.

1971



ხეთა და მითანი

ქრისტე ღმერთი არ ჩანდა,
დრო იდგა წარმართული,
მაგრამ იყო ქართული
ის ზღვები და ის მთანი—
ორი დიდი სამეფოს:
ხეთას¹ და მითანის².

1966

^{1,2} ხეთას მეფე იყო — სეფელომა, მითანის — რაგი,,
შემდეგ მისი ძე ქორთუ — ვაჟა (XIV ს. ჩვ. წ. აღ.)



მთვარე, როგორც პენტაგრი

დედამიწას დაცქერის
მთვარე,
როგორც კენტავრი.
ლამე გულში გაივლებს –
საწყალ სულებს ნეტართა –
გარსკვლავების ყვავილებს.

1970



ზღვა არის „ქართლის ცხოვრება“

ყოფნა,
არყოფნის მდინარე,
მიდის და მიიმდოვრება,
ლამაზი და ეშნიანი.

ზღვა არის „ქართლის ცხოვრება“
მუდამჟამს ქარიშხლიანი.

1960



* * *

სიმაღლეებს კვლავ ასწავლის
ქარი დრუბლებს მოებზე მარებს.
დამეს –

მეხით შუბლგაჩენილს,
ცა – მოწყალე,
გედდასავით,
ელვით უხვევს ნაიარევს.

1986



* * *

გოლხეთის დიდ წარსულიდან –
წინაპართა დვრიტა მოქრის
და სახლდება შენში ვაჟა.
არც მარგალიტს
და არც ოქროს,
შენ დაეძებ ზეცის ლაჟვარდს.

1969



* * *

ქარიშხლის ეტლებს დააქროლებს
პოსეიდონი,

ზღვა ემორჩილება გმირის ნებას,
თან ახლავს ამფიტრიტე¹ და
გალატე².

პონტოს ნაპირზე რომ ჰყვავის
გვირილებად,

ქაფი კი არა,
ყვავილებია —
მედეას ღალატის.

1962


¹ ამფიტრიტე — პოსეიდონის ცოლი, (ზღვის ფერია).

² გალატე — ერთ-ერთი ნერეითაგანი, (ზღვის ფერია).

„ებრისი ელის ებრისელს“*

2001

* გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წ.



ჰოდანი: „გეთსიმანის ბაზარი“

ხელთუქმნელი ცეცხლით და
კოსმიური ნათებით
სუფევს ცა უცნაური.
(თვალში წვეთავს მანია.*)
ვჭვრებ: მეექვსე აურას
„ბალში გეთსიმანის“.

1982

* მანია (ბერძ.) ვნება, სიგიჯე.



სახელები

მთიებივით მოკაშკაშე,
ამოდიან წარსულიდნ სახეები:
(ვინც გაუძლო რა დროს
და ჟამს).

ეს მმა გახლავთ –
ეგვიპტის დიდ ფარაონის –
ნეფერტიტის,
კოლხი მეფე მითანიის
ქორთუ – ვაჟა.

1974



ମାର୍ଗତିବ

ვით ლამაზი ქარლწული –
მარტი,
ჟამს შებინდების,
დგას და კვლავ ეფერება:
ბუჩქების და მინდორების
გააიისფერებას.

1964



* * *

ვით პვიცი უდედო,
ზღვისკარად დგას
კოლხეთი
და ცა მიუსაფრობას ბარდნის,
რობორც ბარდნიდა,
ვხედავ: პრეისტორის
გადაწყვლ ფარდიდან.

1971



* * *

„მენგურელთა¹“ ქვეყანა,
მერე გვიან,
შუმერის,
ჩემზე ჩუმად ჩურჩულებს:
„თიქი ხოლო თექ იდუ²,
სადაც კედრის ჭალებში,
გილგამეშს ხმობს
ენქიდუ.

1963

¹ „მენგურელთა“ – მეგრელთა.

² იხიც იქ წავიდა (მეგრ.)



ზღვის ქალაქის პინადართ

მხრებზე ედგათ სამყარო,
თვალში ცა უბრწყინდავდათ –
წყვდიადში მზე ჩასულებს,
ზღვის ქალაქის ბინადართ,
წყალში დამხვრჩვალთა,
სულებს.

1977



၁၂ နှော

- ყველაფერი გაქრება შარშანდელი
თოვლივით,
- ისმის ძველი მოტივი,
ეშაფოტზე
ვიონის.

თავს გვჭრის, ვით გილიოტინა,
„ის დღე“ –

გალაკტიონის.

1959



* * *

ვით უხსოვარ დროში,
წინათ,
ისევ ისე აკრთობს მნახველს,
რომ მპვდირსფერი ბინდი ადევს,
ამომავალ მთავრის –
ლიმილიან სახეს,
და ჩამავალ მზის
სისხლიან სიღიადეს.

1973



ဇာတ်တမ်း၊ များလွှာ

မိမိကြပေါ်လွှာ စား၊
နေ့မိမိ ဖြစ်သူ ဒုက္ခန်း၊ အရ မြတ်မြတ်ပေး!!!
လျှော့ရတ်၊
များလွှာ!
မြတ်မြတ် လျှော့ရတ်၊ ကြပေါ်လွှာ၊
ဒုက္ခန်း ပေးလွှာ များလွှာ၊ မြတ်မြတ်ပေး.


2003



გარსპოლაგების ჰიპარტიალი

საწყალი სამოცი,
შხამით სავსე პირთამდე,
ვითარც ერთი დავცალე,
ალბათ მიტომ შემცივდა.
მაინც ვყივი: მაცალეთ! –
სანამ მესმის ზეციდან –
ვარსკვლავების ტკარცალი.

2007



პოლიტიკური სანაკიროზე

მტერს რომ გული მოუკლას –
პონტოს სანაპიროზე
და დვთაებრივ ეგრისში,
ვითარცა განთიადი,
ისევ მეგრის სვე ივლის...
ამაყი და დიადი –
ვაჟა ეგრისელივით.

2001



წუთისოფელი

უსვამს დღეების შალაშინს,
ჩვენს ყოფნის დღეებს
ათხელებს,
მუდამ სიაგის მყოფელი.
და თვით უფალი გვაფრთხილებს:
— ნუ გიყვარო წუთისოფელი.

1999



* * *

სიშორეს ეფარებიან

მთიები,

როგორც ალები.

აქეთ მთა...

იქით ისინი.

ცის უზღვრო იდუმალებას,

მთვარე გასცემის სფინქსივით.

1996



* * *

ეშმაკის გარდა იცის არავინ,
რას გვიპირებენ არამზადები,
რომ თხრიან მიწას
ცხრაფად,
ცხრაფენად.

შენ,
მართლა, ნუთუ არ ემზადები,
სხვა პლანეტაზე გადასაფრენად?!

2006



* * *

ბობოქარი დღეები,
სადღაც,
მოუსავლეთში
გაფრინდნენ ქარბუქებად.
მაინც ციდან ოცნების –
შენი ბედის ვარსკვლავის
ელი გამოშუქებას.

2007



* * *

დედამიწას კი ისევ აწესებს

მთვარის სიცივე და

გულგრილობა.

და სიმხურავლე მუდამ გოდებს მზის


ტალღებს ორბივით ცაში

აფრენილს.

შენ, დღე-ნიადაგ ზღვიდან მოგესმის –

ფსკერს მიღექილი ხმა წინაპრების.

2002



პორსიკაში

(მახოლი)

საუკუნეთა უდაბნოს –

ბრძოლებით გამოვალწიე,

ათას სიავით „მორთულმა“.

საქორთუოა¹ კორსიკაც,

ნაპოლეონი ქორთუა².

1983

¹ საქორთუო (მეგრ.) საქართველლო

² ქორთუ (მეგრ.) ქართველი.



ზღვა – არვაა მძოლოსის

მეხის მოულოდნელ ხმაზე,
შემოდგომის მწუხარით მოსილ –
ცა ვარსკვლავებს გადიწვიმებს
ზღვა –
არფაა ეოლოსის,*
ქარი უკრავს ცადაჭიმულ
ზვირთთა სიმებს.

1993

* ეოლოსი (ბერძ.) ელინისა და ფერი ორსეიდეს ვაჟი.
ქარების დმერთი.



* * *

მოკვდავთ სული მდინარეა,

ელვის სრუტით —

ცას რომ ერთვის.

ღამით ქართა ელვარება...

და გულისთქმა მწვერვალების...

ზღავთა დუმილია —

ღმერთი.

1973



ჩვემო დიდო ჭინაპარო

უკვდავების მაღალ პედელს,
მოსვლის დღიდან მიყრდნობილო,
ციურ ცეცხლთან წილნაყარო,
ჩემო დიდო წინაპარო,
მიწით არა,
გზით შობილო!

1989



* * *

დღეები მჩხვლეტენ, როგორც ეკლები,

რა ვქნა,

არც ერთმა აღარ ივარდა


და არსაიდან არ ჩანს საშველი.

მაინც სიცოცხლის ტოტზე

ვზივარ და,

თვალდახუჭული ვგალობ შაშვიგით.

2007



* * *

ქარი, ცეცხლი და წყალი,
მზის გზას ადევნებია,
სამია და ერთდება.
ეს ზეირთები კი არა,
ფიქრთა შადრევნებია,
სურთ რომ ცად აიტანონ
ზღვის გულისთქმა
ღმერთებთან.

1986



13

დიდი არა,
გარ ცამეტის,
და არაფერს არ ვამეტებ,
ვამბობ: დარდი მაწევს მოებად –
ფიქრით,
ღამე თეთრად ნათევს,
ხობის პირას მელანდება:
მტრის მოკლული გუბაზ მეფე*
და მტირალი მეფე წათე.

1954

* კოლხეთის მეფე – (V b.)



* * *

დღემ მზე დაბადა,
დვთისმშობელმა, ვითა იქსო,
(და ბნელ დამეზე ჯავრი იყარა).
მერე მწუხამდე მხრებით ატარა,
ხოლო მწუხარისას ჩამოსვა და...
თან წაიყვანა.


1966



* * *

ქარის ძახილზე ზღვის სავენახე,
დაიხუნდლება ზვირთოა მტევნებით.
სანაპიროზე როცა დაღლილი
ჩაიგლი,
ერთი ტალღა ძაღლივით,
ქაფის წკმუტუნით აგედევნება.

1969



ხევი

ზამთრისაგან გაძარცვული
ცას შეცქერენ შეშფოთებით,
სიქა აღარ შერჩენიათ.
და ვითარც ჩვენ,
ეს ფოთლებიც,
აქ არყოფნას ეჩვევია.

2001



* * *

ამოვარდა ქარიშხალი –
ცის და მიწის დამლეწავი
და გაწყივტა ჯაჭვი ქაფის.
ნარბენალი ზღვა მოადგა დამფრთხალ
ნაპირს,
ჩაიმულხა მერე წამით.

2002



* * *

ჩემი ზეცა ქართული –
ვარსკვლავებით ირწყვება.
უფალია თავმდები,
რომ ლეგენდით ვიწყები
და ლეგენდით
ვთავდები.

2007



* * *

ზღვის წუხილში და ქართა მოთქმაში,
კვლავ იქედნური გეხმის
სიცილი,
მათი, რომელთაც შვენით „პარიქი“.
შენ ქართულ სიტყვას ხედნი
ძვირივით,
პონტოს ნაპირზე იურვებ და
ათოხარიკებ.

1963



* * *

ქარიშხალმა ღრუბლების რემა
უცებ მოდენა,
ელვის მტყორცნელი მშვილდით,
ზეცა პგავდა მოისარს.
სადღაც პორიზონტს იქით –
მოისმა მზის გოდება,
ზღვის ხემ მოულოდნელად
თოლიები მოისხა.

1976



* * *

ვარსკვლავებით ნაქსოვი

ცა –

სიცოცხლის ბადეა.

ცვდება დღის კიბეები –

მზის ჩასვლით და ამოსვლით.

ღამით სიწყვდიადეა –

ბოლოს მოკვდავთ სამოსი.

1987



ცა იმპორტებს ფვიქს

ზღვის სარკეს ჩასცერის და
ცა იმპორტებს წვიმას
და ქლვა მისდევს ქუხილს,
თეთრი,
მწუხრისფერს ირთავს.
ქარი კი ტოტებს უხრის –
გაუგალ ტყეებს ზვირთთა.

1967



* * *

ქამთა დარჯაკში გამოვლილს,

გითარცა წინათ,

ახლაც გაოცებს:

დამეს დილა რომ გიიადონებს.

წარსულიდან კი ყივის

ლაო-ძი:

„ოდეს მდაბლობენ,

კაცნი დიადობენ“.

1973



* * *

ცისარტყელას ტოტზე ზიხარ
და შავ ღრუბლებს
თეთრად სწურავ...
ფერთა ზღვაში ეძებ ფერებს.
ოცნებამ კი ფრთა აწურა,
უკვდავება შეიფერე.

2005



* * *

ზღვის ფსკერზე იმალება,
ყველა იდუმალება,
ამიტომ სულ ბობოქრობს,
დელგას წამით არ იშლის!
დალუპულთა ცრემლებით –
დანისლულა თვალები;
არამარტო ავსულთა,
ქარისა და ქარიშხლის.

1986



* * *

ცისკრისას ანგელოზებმა,
როცა ღრუბლები გაწურეს,
მთებს მიმალული მთიები
იქცნენ ასად და ათასად...
დილით მზე,
ვითა ქალწული¹,
ამაღლდა „ცათა ცათასა“.

1964

¹ ქალწული – იგულისხმება დათისმობელი.

² „ცათა ცათასა“ – (ნევმირებული ძლის-პირნი. გვ. 825)



გილგამეშივით

მზერას აღარ გაშორებს
ავთვალი და ავსული.
ჰელიოსის ნაგრამი მზეს ვერაფრით
ეშვილე
და ნიადაგ ხმა გესმის ნაღარის და
ბუკების.
აშ უკვე მზე ჩასული,
ეძებ გილგამეშივით
„ბალახს განჭაბუკების“.

2007



* * *

ძილად მიყრიან წყლისპირ ლოდები...
არაგვს კი უსმენს ნარეკვავი
და ნატახტარი.
სითეთრეს იცვამს ზამთრის ტყე-ველი.
ლოცვით სავსე დგას
მთვარის საყდარი.
მხოლოდ ცამ იცის –
გარსპელავები რას
მეტყველებ.

1997



ქარიშხალი, ზღვა და ჭალა

ლელგის მგელმა,
რომ უეცრად არ წარსტაცოს,
ვითარც ცხვარი,
მებადური „წყემსავს“ ნავებს.
და ცა ჰყვავის ედემ ბაღად.
სიცოცხლეს კი უნანავებს:
ქარიშხალი,
ზღვა და ტალღა.

1996



აქ დევები მეფობდნენ

გადმოყარა უფალმა ციდან ყველა
აგსული:

ჯარბი,

გველი,

ვეშაპი,


მიწისაკენ დაძრნენ.

შვიდი ათასი წელიწადი აქ დევები
გეფობდნენ,

სანამ არ ამოწყვიტა ამირან

დარეჯანისძემ.

1961



* * *

ვისმენ ჩურჩულს ანგელოზთა...

დვთისმშობელზე ლოცვით

დაღლილს,

ღმერთზე ფიქრით ღამენათევს

ვხედავ: სანთლით უფლის

წიგნში:

ლუკას,

გარკოზსა და მათეს.

1969

* უფლის წიგნი – იგულისხმება სახარება.



* * *

უქაროდ და უქარიშხლოდ,
არრას ამბობს,
ზღვაა მუნჯი.
მაღლა უხმეს მთებს ტყეებმა.
ლამის ქვაბში ცა
აუნჯებს –
გარსკვლაგთ ფერთა მეტყველებას.

1966



* * *

ციოთ ჩამოდის მიმწუხერი და
ვარსკვლავების თვალებს ნაბავს
და ედება ნაპირს ობად.
მოგა ქარი,
ზღვის შავ კაბას,
შემოავლებს ქაფის ქობას.

1959



* * *

მოსვლის დღიდან ამქვეყნად,
შთამომავალს ადამის,
მზის ამოსვლა გვიკვირდა.
